

“დინამო” (ტფილისი) - “დინამო” (მოსკოვი) - 1:1

მოსკოვი, 29 სექტემბერი. 29 სექტემბერს 20 ათასამდე მოსკოველი დაეწრო ფეხბურთის საინტერესო მატჩს, რომელიც “დინამოს” სტადიონზე გაიმართა. ტფილისის “დინამოს” გუნდი, რომელმაც ამას წინათ დაამარცხა მოსკოვის “სპარტაკი” საბჭოთა კავშირის საშემოდგომო პირველობის გათამაშებაში (“ა” ჯგუფი) შეხვდა საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა უძლიერეს კოლექტივს - მოსკოვის “დინამოს”, რომელმაც საბჭოთა კავშირის საგაზაფხულო პირველობა აიღო.

ტფილისის “დინამოს” აკლდა ორი ძირითადი მოთამაშე - გაგუა და ასლამაზოვი, რომელთა ადგილები სათადაროგო მოთამაშეებმა დაიკავეს. მოსკოვის “დინამო” გამოვიდა თავისი მეზღოლი შემადგენლობით, გარდა მეკარისა, რომლის მაგივრად “დინამოს” მეორე გუნდის მეკარე სიკოლოვი თამაშობდა.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ფეხბურთში - მოსკოვის “დინამო” ღირსეულ “მოწინააღმდეგეს” შეხვდა. ტფილისელები ტექნიკურად ძლიერად და ტემპერამენტით თამაშობენ. ტფილისის საუცხოო დამცველები აჩერებენ საშიშ მოსკოველ თავდამსხმელებს. ამავე დროს ტფილისის თავდამსხმელები ხშირად ემუქრებიან მოსკოვის კარებს.

თამაში იწყება ტფილისელების შეტევით. ისინი დიდხანს არ შორდებიან მოსკოვის “დინამოს” კარებს და მალე აიძულებენ მას თამაში ცენტრიდან დაიწყოს. ტფილისელების თავდამსხმელთა ცენტრმა პაიჭაძემ მიიღო რა ბურთი მინდვრის განაპირა მხრიდან, ზუსტი და ძლიერი დარტყმით მოსკოვის კარებში გაგზავნა იგი. მსაჯის ნიშანმა დაადასტურა პირველი გოლი. ტრიბუნაზე ამ გოლმა მქუხარე ტაში გამოიწვია.

მოსკოველებმა გადასწყვიტეს რევანშის აღება. მოსკოვის “დინამოს” თავდამსხმელთა შესანიშნავი ხუთეული ამ დღეს საკმაო შეწყობილად ვერ თამაშობდა. მაგრამ მოსკოველების კარგად მოფიქრებულმა კომბინაციებმაც ვერ გამოიღეს შედეგი. საუცხოოდ თამაშობდა ტფილისის თავდაცვა, განსაკუთრებით მეკარე დოროხოვი. მხოლოდ რამდენიმე წუთით ადრე პირველი ტაიმის დამთავრებამდე მოსკოვის “დინამოს” მარჯვენა ინსაიდმა იაკუშინმა, იხელთა რა დრო, ძლავრი დარტყმით გაარღვია ტფილისელთა კარები.

მეორე ტაიმში ვერც მოსკოველებმა, ვერც ტფილისელებმა ვერ შესძლეს მიღწეული ანგარიშის შეცვლა. მიუხედავად წვიმიანი ამინდისა, მძიმე ნიადაგისა და დაღლილობისა, ორივე გუნდმა ოსტატური თამაში გვიჩვენა. საგრძნობი არ იყო არც ერთი გუნდის უპირატესობა. ორივე კოლექტივი ერთნაირად კარგად, ენერგიულად და მონდომებით თამაშობდა. ტფილისელების თვითეული შეტევა მქუხარე მოწონებას იწვევდა ტრიბუნებზე. და როდესაც დამთავრდა თამაში, რომელშიაც არ აღმოჩნდა არც გამარჯვებული, არც დამარცხებული (1:1), მაყურებლებმა ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვეს ტფილისის გუნდი, რომლისთვისაც ეს ყაიმი მოსკოვის “დინამოსთან” არსებითად გამარჯვებას უდრიდა.

ტფილისის “დინამოს” კაპიტანმა შავგულიძემ საკავშირო დეკემათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, მთელი გუნდი ძალიან კმაყოფილია თავისი თამაშის შედეგით.

- როდესაც ჩვენ მინდორზე გამოვდიოდით, - სთქვა ამხ. შავგულიძემ, - დამარცხებას მოველოდით, რადგან ვიცოდით, რომ ჩვენს წინ საბჭოთა კავშირის უძლიერესი გუნდი იდგა. მაგრამ ჩვენ შევეცადეთ ამ თამაშში ჩაგვექსოვა ყველაფერი, რაც შეგვეძლო. ორივე გუნდმა კარგი თამაში გვიჩვენა. ჩვენი კოლექტივი მადლობას უძღვნის მოსკოველ მაყურებლებს მხურვალე შეხვედრისა და ჩვენი თამაშის მოწონებისათვის (საქდს).

“კომუნისტი”, 2 ოქტომბერი, 1936 წ.